



ცვლილებები საშეჯიბრო
დებულებებში და დანართებში,
შეჯიბრებების ვადები



ცვლილებები საშეჯიბრო დებულებაში

- 5.5.1 დაემატოს კონკრეტული ელ. ფოსტა: siebi@rugby.ge
- წინა სხდომის გადაწყვეტილების მიხედვით დაემატა: 5.5.9 5.9 „2024-2025 წწ. სათამაშო სეზონში თითო გუნდს უფლება აქვს 23-კაციან სათამაშო განაცხადში შეიყვანოს მხოლოდ 3 (სამი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მოთამაშე, ხოლო 2025-2026 წწ. სათამაშო სეზონში - თითო გუნდს უფლება აქვს გუნდის საშეჯიბრო განაცხადში შეიყვანოს მხოლოდ 2 (ორი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მოთამაშე. შეზღუდვა ეხება სრკ-ს ორგანიზებით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდებს (კლუბებს).“
- 9.1.7.3 წინადადება: „მოხსნილი გუნდის (გუნდების) ყველა ნათამაშებ მატჩებში დაფიქსირებული შედეგები ანულირდება“. ჩანაცვლდეს: მოხსნილი გუნდის (გუნდების) ყველა ნათამაშებ მატჩებში დაფიქსირებული შედეგები ანულირდება ამ მატჩებში ორივე მონაწილე გუნდისათვის.
- დასამატებელია ახალი მუხლი 10.1.3 10.1.1 და 10.1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მატჩის გადატანის გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ლიგის მენეჯერი, შესაბამისი მარწმუნებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
- 15.1 მეტი სიცხადისათვის წინადადება: „კაცთა ლიგებში გუნდებს უფლება აქვთ ჩანიშნოს“ ჩასწორდეს: რაგბის კავშირს კაცთა ლიგებში გუნდების ერთობლივი მომართვის საფუძველზე უფლება აქვს ჩანიშნოს:



- 2.1 2.11 “საშეჯიბრო კომიტეტში” შეიცვალოს რეგისტრატორით და კონკრეტული ელ. ფოსტის მისამართით (აუცილებელია სხვა დანართებში იგივე ცვლილების გაკეთება)
- 2.4 - დამატება: დიდ 10 ის შეჯიბრებაში გუნდის დაშვებას რეგისტრაციის შემდეგ ხელის მოწერით ადასტურებს ლიგის მენეჯერი
- 12.1 - ამოსაშლელია მუხლიდან მომდევნო მოთხოვნები: ჰადლი, რაგბი საიტი და პროექტორი



- **7.2 მეტი სიცხადისათვის ტექსტი:** დიდ 10-თან გადათამაშება, სრკ-ს მიერ ამ მატჩის ტრანსლირების შემთხვევაში, გაიმართება I ლიგის გუნდის მიერ შერჩეულ ბუნებრივსაფარიან მოედანზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი მოვლენების გამო არამიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ტიპის მოედნების გამოყენება, რის შესახებაც მონაწილე კლუბებს (გუნდებს) წინასწარ, 24 საათით ადრე ეცნობებათ

ჩანაცვლდეს : დიდ 10-თან გადათამაშება, ტარდება დიდი 10 ის დებულების 9.1 პუნქტით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს შემდეგს: „დიდი 10-ის თამაშები გაიმართება ბუნებრივსაფარიან მოედნებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი მოვლენების გამო არამიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ტიპის მოედნების გამოყენება, რის შესახებაც მონაწილე კლუბებს (გუნდებს) წინასწარ, 24 საათით ადრე ეცნობებათ. „

და დაემატოს (უნდა ემთხვეოდეს სხვა დებულებებს): 7.2.1 პირველ ლიგაში ასვლა/დარჩენაზე ორ მატჩა დუელში, სრკ -ს მიერ ამ მატჩის ტრანსლირების შემთხვევაში გაიმართება მასპინძლის მიერ შერჩეულ ბუნებრივსაფარიან მოედანზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბუნებრივი მოვლენების გამო არამიზანშეწონილია ზემოაღნიშნული ტიპის მოედნების გამოყენება, რის შესახებაც მონაწილე კლუბებს (გუნდებს) წინასწარ, 24 საათით ადრე ეცნობებათ



- 2.3.4.1 მეტი სიცხადისთვის ტექსტი: „შეხვედრებს
მასპინძელობს რეგიონული ლიგის გუნდები“
ჩანაცვლდეს: „დუელში პირველმა მატჩს მასპინძელობს რეგიონული
ლიგის გუნდი“

ყველა ლიგის დებულებაში შესაძლო ჩასასწორებელი საკითხები
გარემოების ცვლილების შემთხვევაში და არამარტო

1. თარიღები
2. ტურნირის ვადები
3. ტერმინოლოგია, მართლწერის და ორთოგრაფიული შეცდომები
4. მონაწილეთა ჩამონათვალი და მათი დასახელებები
5. მომავალში აღმოჩენილი ურთიერთგამომრიცხავი პუნქტები
6. განმარტებები



საშეჯიბრო დებულების მუხლი 4

აუცილებელია მუხლი 4 - ის ჩანაცვლება ახალი რეგულაციით:



საქართველოს
რუგბის კავშირი

საშეჯიბრო დებულების მუხლი 4

მუხლი 4. მოთამაშეთა ლიცენზირება

- 4.1. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე ყველა მოთამაშე, რომელიც შეყვანილია კლუბის (გუნდის) მიერ საშეჯიბრო განაცხადში ექვემდებარება ლიცენზირებას.
- 4.2. მოთამაშეთა ლიცენზირება დაშვებულია მხოლოდ სრკ-ს მიერ დადგენილი წესით მოთამაშეთა რეგისტრაციის შემდეგ.
- 4.3. ლიცენზიის მოქმედების ვადა ერთი საშეჯიბრო სეზონია.
- 4.4. მოთამაშეთა ლიცენზიის გაცემის საფასური:
 - 4.1.1. კაცთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 15 ლარს ერთ მოთამაშეზე.
 - 4.1.2. ქაბუკთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 5 ლარს ერთ მოთამაშეზე.



შეჯიბრებების ვადები

- დიდი 10: 06-08/09/2024 --- ფინალი: 17-18/05/2025
- დუბლები: 23-25/08 ---
- პირველი ლიგა: 13-15/09 --- ფინალი: 17-18/05/2025
- რეგიონ ლიგა: 27-29/09 --- ფინალი: 09-11/05/2025
- ჭაბუკთა 'ა' ლიგა: 27-29/09 ----
- ჭაბუკთა 'ბ' ლიგა: 25-26/09 ----



მადლობა ყურადღებისთვის !



საქართველოს
რუგბის კავშირი